

## ავსტრია

- ავსტრიის მიმართულებით გაგზავნილი სახმელეთო ამანათის ჩაბარების მისამართის განსაზღვრა ხორციელდება შპს „საქართველოს ფოსტის“ აგენტის წარმომადგენელსა (კურიერს) და ადრესატს შორის სატელეფონო საუბრის შედეგად შეთანხმებულ ადგილზე, შემდგომი პროცედურის დაცვით:

➤ სახმელეთო ამანათის შპს „საქართველოს ფოსტის“ აგენტის ოფისამდე ტრანსპორტირების შემდგომ, აგენტი ოფისის წარმომადგენელი(კურიერი) აუცილებელი წესით ახდენს სატელეფონო კომუნიკაციას ადრესატთან, რომელთანაც აზუსტებს გზავნილის ჩაბარების ადგილსა და დროს და მხოლოდ ამის შემდგომ ახორციელებს ვიზიტს. კურიერის მიერ შეთანხმებულ მისამართზე ვიზიტი ხორციელდება ერთჯერადად. იმ შემთხვევაში, თუ გარკვეული მიზეზების გამო, ვერ მოხდება გზავნილის ადრესატისთვის ჩაბარება, კურიერი აბრუნებს გზავნილს აგენტის ოფისში. ამის შემდგომ, ადრესატს შესაძლებლობა აქვს შპს „საქართველოს ფოსტის“ აგენტის მიერ სახმელეთო ამანათის მიღებიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში განახორციელოს ვიზიტი აგენტის ოფისში და ჩაიბაროს სახმელეთო ამანათი.

- ავსტრიის ტერიტორიაზე გაგზავნილი სახმელეთო ამანათის ჩაბარების ვადების ათვლა იწყება სახმელეთო ამანათის შპს „საქართველოს ფოსტისთვის“ გადაცემის შემდეგ დამდგარი პირველი ორშაბათიდან:

ქალაქი	ჩაბარების ვადა
ზალცბურგი, ინსბრუკი, ვენა, გრაცი, ლინცი	14 კალენდარული დღე

- ავსტრიაში არსებული შპს „საქართველოს ფოსტის“ აგენტების ოფისების და გაცემის პუნქტების მისამართები და სამუშაო საათები:

N.	აგენტის ოფისი	მისამართი	ტელეფონის ნომერი	სამუშაო საათები	ქალაქები სადაც ბარდება გზავნილები

1.	ზალცბურგი	SAALACHSTRASSE 19/11,5020 SALZBURG.AUSTR IA.	+436606541114 +436765450554	ოთხშაბათი-10:00სთ-დან-18:00სთ- მდე შაბათი-10:00სთ-დან -18:00სთ- მდე კვირა-10:00სთ-დან -18:00სთ- მდე	ზალცბურგი ინსბრუკი ვენა გრაცი ლინცი
----	-----------	---	--------------------------------	--	---

**გასათვალისწინებელია:** სახმელეთო ამანათი იგზავნება მხოლოდ ცხრილში მითითებულ ქალაქებში, გზავნილის ადრესატისთვის ჩაბარება არ ხორციელდება აღნიშნული ქალაქების მეზობელ, მოსაზღვრე ან/და ახლოს მდებარე სხვა რომელიმე ქალაქში.

- ავსტრიის მიმართულებით სახმელეთო ამანათის გაგზავნის ღირებულება (გარდა მედიკამენტებისა), გამოითვლება ფაქტიური წონისა და შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ ამავე კატეგორიის გზავნილზე 1 კგ-სთვის დადგენილი ტარიფის ნამრავლით. 5 კგ-მდე წონის ამანათის გაგზავნის შემთხვევაში, გამგზავნი/ადრესატი იხდის ფიქსირებულ - 5 კგ-სთვის დადგენილ ტარიფს.
- მედიკამენტების გაგზავნა შესაძლებელია მხოლოდ თავისივე ყუთით (ქარხნული შეფუთვით), ანოტაციით და არაუმეტეს 300 გრამისა. ამასთან:
  - ა) ერთი სახეობის აბები - არ უნდა აღემატებოდეს 10 (ათი) ფირფიტას;
  - ბ) სხვა ტიპის (მათ შორის, სითხის შემცველი) მედიკამენტები - არ უნდა აღემატებოდეს 300 გრამს.